

წინამდებარე დოკუმენტის საფუძველზე, ვებ-გვერდზე - <https://www.pashabank.ge/> - განთავსებული „ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების გენერალური ხელშეკრულებაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. 11.8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“11.8. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ბანკი უფლებამოსილია მის მიერ გაცემული საბანკო პროდუქტის მსესხებლის საკუთარი სახსრებით წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში მსესხებელს, გარდა ნარჩენი ძირის დაფარვისა, დააკისროს და მოსთხოვოს საკომისიო და/ან პირგასამტეხლო, თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისათვის ხელშეკრულების დარჩენილი ვადის გათვალისწინებით, შემდეგი წესის დაცვით:“

2. ხელშეკრულებას დაემატოს 11.18¹ - 11.18⁴ მუხლები შემდეგი რედაქციით

11.18¹ ბანკის მიერ გაცემული კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრული ან ნაწილობრივი რეფინანსირების შემთხვევაში, ბანკი მსესხებელ ფიზიკურ პირს, დააკისრებს პირგასამტეხლოს თანხის წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა.

11.18² 11.18¹ პუნქტით განსაზღვრული პირობა ვრცელდება ეროვნულ ვალუტაში გაცემული კრედიტის ეროვნული ვალუტითა ან/და უცხოურ ვალუტაში გაცემული კრედიტის უცხოური ვალუტით რეფინანსირების შემთხვევებზე.

11.18³ ბანკის მიერ გაცემული დოკუმენტალური ოპერაციების (აკრედიტივი, დოკუმენტალური ინკასო, საბანკო გარანტია, აქცეპტები და სხვა) სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების შემთხვევაში, მომხმარებელ ფიზიკურ პირს ბანკი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო წინსწრებით დაფარვის მომენტისთვის დოკუმენტალური ოპერაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის არაუმეტეს 0,5%-ისა.

11.18⁴ ნებისმიერ შემთხვევაში წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილ ვადაზე დასარიცხი პროცენტის ან დოკუმენტალური ოპერაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკომისიოს თანხას.”

წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული რედაქცია ძალაში შედის 2025 წლის 1 მაისიდან.

გამოქვეყნების თარიღი: 2025 წლის 22 აპრილი.